

რას სთავაზობს ლადო პაპავა ოპოზიციას?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 3-9 აგვისტო, № 31, 2009

დღეს საქართველოში, სამწუხაროდ უვიცების დოღია, ეს ეხება როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ლადო პაპავას თქმით, თუ სააკაშვილის მთავრობაში პატარა ბენდუკები ბაირამობენ, ოპოზიციაში „სტოსი“ ისეთ ადამიანებს მიჰყავთ, რომლებსაც გამომგონებლობის ნიჭი აკლიათ.

– ბატონო ლადო, სანამ ეკონომიკის სააკაშვილისეულ ლაბირინთებზე დავიწყებდეთ საუბარს, ერთი რამ მინდა გკითხოთ: თქვენი მეგობარი ოპოზიციონერების ასეთ ჩაფლავებას როგორ აფასებთ?

– დიახ... მე ოპოზიციის ლიდერების უმეტეს ნაწილთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ეს არის პოლიტიკური სიმპატიები, ადამიანური სიმპატიები და ასე შემდეგ. რაც შეეხება იმ მოვლენებს, რაც დაიწყო 9 აპრილს, მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ თავისთავად ასეთი უკიდურესი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომისა, არ იყო გამართლებული და ცხოვრებამაც გვიჩვენა, რომ ამან ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. თუ შენ პრეზიდენტის უპირობო გადადგომას ითხოვ და მერე ზოგიერთი ვადამდეგ საპარლამენტო არჩევნებზეც თანახმაა, მაშინ ეს უკვე უკან დახევაა და ბუნებრივია, არც ხელისუფლება დაგითმობს. ერთი რამეა... ჯერჯერობით ქვეყანაში „სტოსი“ არ მიჰყავს გონიერ ხალხს.

– არც ოპოზიციაში?

– თქვენ წარმოიდგინეთ, არც ოპოზიციაში... ბოლო დროის მოვლენებმა ეს დაადასტურა. ოპოზიციის მოქმედებას უფრო ემოციური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე გააზრებული, თვით 26 მაისიც კი, როცა ადამიანებმა თავიანთი გულწრფელი დამოკიდებულება გამოხატეს, ვინმემ დაგეგმა? თქვენ ეს იგრძენით, როგორც ჟურნალისტმა? კი, ბატონო, ხალხი შეიკრიბა, მერე ამას რა უნდა მოჰყოლოდა? პატრიარქთან რომ წავიდნენ, რას ელოდებოდნენ? კიდევ კარგი, რომ იმ ღამეს ოპოზიციის ლიდერებმა რაღაც მოიფიქრეს და რკინიგზა გადაკეტეს, ამით სიტუაცია განმუხტეს, ხალხი სისუფელის ჩადენას აპირებდა. მერე... უკვე აშკარაა, რომ ოპოზიციაშიც არის განხეთქილება, მე

ლეიბორისტების მხარდამჭერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ შალვა ნათელაშვილს სიტყვის თქმის უფლება არ მისცეს. საერთოდ გაუგებარია ჩემთვის „ფორუმის“ საქციელი, ეს ხალხოსნური ქცევა შეიძლება რაღაცის მომტანი იყოს, მაგრამ იქნება კი ეფექტიანი? შენ რომ გამგეობის შენობასთან თუ რომელიმე სოფლის ცენტრში ხალხს შეხვდები, ეს რას მოგიტანს? აგერ, პარლამენტსაც შეექმნა პრობლემები, პრეზიდენტსაც, სამუშაოდ ვერ შედიოდნენ შენობაში, მაშინ არ გადადგნენ და ახლა გადადგებიან? დღეს ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, გონიერებაზე მოთხოვნილება არ არის, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ და სააკაშვილი პროდუქტია ამ საზოგადოებისა, ეს არის პოლიტიკურად მოუმწიფებელი გარემო, სადაც გონიერება საჭიროდ აღარავის მიაჩნია, აქ მთავარია ემოცია. გარდა ამისა, ჩვენი ოპოზიციის ლიდერებს აკლიათ პოლიტიკური გამომგონებლობის უნარი... ესენი ხელისუფლებას ყოველთვის ისეთ რაღაცებს უნდა სთავაზობდნენ, რომ მუდმივად კუთხეში უნდა ჰყავდეთ მიმწვედელი. ახლა კი ჩვენ რეალურად რას ვხედავთ? გამომგონებლობის სადავეები ისევ აღმოჩნდა სააკაშვილის ხელში, ხანდახან უაზრო წინადადებებს ისვრის, მაგრამ „პარადი“ ისევ მას მიჰყავს. გავიხსენოთ, სააკაშვილმა ამათ შესთავაზა, სხვადასხვა სამინისტროებში მოადგილეებად დაგნიშნავთო, ამ დროს ერთადერთ სალომე ზურაბიშვილს აღმოჩნდა გამჭრიახობა და მან კიდევ ერთხელ გვაჩვენა სააკაშვილის სახე. პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ ამაზე ოპოზიცია არ დათანხმდებოდა და დასავლეთის თვალში ქულებს ჩაიწერდა. წესით, ეს წინადადება ოპოზიციას უნდა აეტაცებინა, როგორც ზურაბიშვილი არ დანიშნეს, ისე არ დანიშნავდნენ სხვებსაც და ხელისუფლება უფრო მეტად გაშიშვლდებოდა. ახლა მიშა ამბობს, ოპოზიცია პარლამენტში დაბრუნდეს, კანონს შევცვლითო... ჩემი აზრით, უნდა დათანხმდნენ და თავიანთი პრეტენზიებიც წამოაყენონ. მაგალითად, მოითხოვონ ყველა სამინისტროში მოადგილის თანამდებობა... აი, ისევ გამომგონებლობამდე მივედით, რაღაც ორიგინალური იდეების მოფიქრებაა საჭირო.

– ოპოზიცია ამბობს, რომ ასე სააკაშვილს ვადა 2013 წლამდე გაუხანგრძლივდება.

– არა, ამით სააკაშვილს საქმეს ვურთულებთ... სხვათა შორის, მე ერთ-ერთ სიმპატიურ ოპოზიციურ ლიდერს შევხვდი და ვუთხარი, გადადგით ეს ნაბიჯი, შედით პარლამენტში-მეთქი. როგორ, ჩვენ ერთხელ ვთქვით, უკან ხომ

არ დავიხვეთ, სააკაშვილს სიცოცხლეს ხომ არ გაეუხანგრძლივებთ? მე კი მგონია, რომ პირიქით მოხდება, ჯერ ერთი, ამას დასავლეთი მოიწონებს და მეორეც – საკმაოდ ეფექტიან ტრიბუნას ჩაიგდებენ ხელში, თქვენ წარმოგიდგენიათ, ოცი კარგად მოლაპარაკე ოპოზიციონერი რა დღეში ჩააგდებს სააკაშვილს საპარლამენტო ტრიბუნიდან? მოითხოვონ არა მხოლოდ ადგილები სამინისტროებში, არამედ ვიცე-პრემიერის პოსტიც. შესთავაზონ ხელისუფლებას მრავალფეროვნება, თუ რომელიმე საკითხს ვერ გაიტანენ, არც ეგ არის პრობლემა, ბოიკოტი იქნება, რომელიმე მინისტრის მოადგილე გადადგება, სკანდალი აგორდება და ასე შემდეგ. რა, ეს ყველაფერი ქუჩის აქციებს გამორიცხავს? მარტო ჩაცვიკვლა ქუჩის აქციებზე, შედეგს ვერ მოიტანს... არ გადადგა ეს კაცი, არც ჰქონდა ისეთი სიტუაცია შექმნილი, რომ გადამდგარიყო. ვიმეორებ, დღეს პრაქტიკულად აღლუმს უძღვება მიხეილ სააკაშვილი, ის დარჩა მოგებული პიარის თვალსაზრისით.

– გასაგებია... საქართველოში ეკონომიკური „პარადი“ ვის მიჰყავს? ეს იუდა ბენდუქიძე კი მოვიშორეთ როგორც იქნა, მაგრამ მაინც არაფერი გვაშველა.

– ქართულ ეკონომიკაში იკვეთება რამდენიმე ტენდენცია... მოდით, ვნახოთ, რა მოხდა რეალურად: რამდენიმე კვირის წინ მთავრობამ შეიტანა ცვლილებები და პარლამენტმა დაამტკიცა, რის მიხედვითაც ბიუჯეტი გაიზარდა 314 მილიონით. ეს იმ პირობებში, როცა საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 500 მილიონით. ესე იგი, სახეზეა კრიზისი, მაგრამ ბიუჯეტი მაინც იზრდება... ანუ ქვეყანაში გაჩნდა 814 მილიონი, რომელმაც არა მარტო გარღვევა გადაფარა, ბიუჯეტის პარამეტრებიც კი გაზარდა. ახლა ავხსნათ, რასთან გვაქვს საქმე: ამ თანხიდან 260 მილიონი არის სახაზინო ვალდებულება, მთავრობამ გადაწყვიტა და სესხი აეღო კომერციული ბანკებიდან, ხოლო დანარჩენი უცხოური დახმარებები და პრივატიზაციიდან შემოსული ფულია. თუ დღეს ჩვენი ეკონომიკა, ასე თუ ისე, მაინც სუნთქავს, ეს უცხოური დახმარებების წყალობით ხდება და ამირტომაც გასაგები უნდა იყოს, ვის მიჰყავს „პარადი“. მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბევრი რამე მიშვებულა თავის დინებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ე.წ. ანტიკრიზისული სტრატეგია წარუდგინა საზოგადოებას, მთავრობას არანაირი ანტიკრიზისული ხედვა არ გააჩნია. ამას ძალიან მარტივად დაგიმტკიცებთ... უკვე გითხარით, 814 მილიონიდან 260 მილიონი სახაზინო ვალდებულებაა-მეთქი, ეს არის შიდა ვალის ზრდა, მთავრობამ აიღო სესხი.

კი, მაგრამ ეს ფული ვის მოაკლდა? რა თქმა უნდა, ბანკებს, რომლებსაც ცხადია, ბიზნესი უნდა დაეკრედიტებინათ. კი, დღეს კრიზისია და ბევრი ტვინის ჭყლეტაა საჭირო, რომ თანხა სწორად განათავსო, მაგრამ ყველა შემთხვევაში მაინც ეკონომიკაში არ უნდა დარჩენილიყო და დოვლათი შექმნილიყო? ეს არის ამათი ანტიკრიზისული სტრატეგია?

– „ლეიბორისტები“ ეძებენ იმ ერთ მილიარდ დოლარს, რომელიც ამერიკელებმა მოგვცეს... თქვენ ხომ არაფერი იცით ამ თანხის შესახებ?

– ამ თანხის პირველი ნაწილი, 250 მილიონი შარშან ოქტომბერში მიიღო მთავრობამ, ფული შევიდა ბიუჯეტში, სადაც ყველაფერი გაწერილია. მეტიც, ამ თანხების ხარჯვას მონიტორინგს უწევს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია. თვითონ დონორებიც დაინტერესებულები არიან, რომ თანხები სწორი მიმართულებით დაიხარჯოს. თუმცა, რომ გითხრათ, კონტროლის მექანიზმი იდეალურია-მეთქი, მოგატყუებთ, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში სერიოზულად მოიკოჭლებს კონტროლის პალატა.

– ეგ დაწესებულება კიდევ არსებობს?

– კარგი შეკითხვაა... მე რბილად ვთქვი, მოიკოჭლებს-მეთქი.

– გაგხსნი მაგათ საიტს და მარტო თავმჯდომარე მესალმება.

– აბა, მეტი რა გინდათ? კონტროლის პალატა პარლამენტის სტრუქტურაა და არა პრეზიდენტის, ან მთავრობის, მაგრამ რაკი თვითონ საკანონმდებლო ორგანო მთავრობის ნოტარიუსია, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?

– ზემოთ კახა ბენდუქიძეზე გკითხეთ... ეს ადამიანი კი გაუშვეს მთავრობიდან, მაგრამ იგი პერიოდულად ჩნდება ხოლმე საეჭვო ადგილებში. თქვენ ხომ არ იცით, ამჟამად რა სტატუსი აქვს თქვენს კოლეგას?

– რატომ “კოლეგას”? თქვენ გგონიათ, მე ბიოლოგი ვარ?

– არა, ბენდუქიძე ბიოლოგი იყო, ახლა ეკონომისტობას იბრალებს, ამიტომ ვახსენე სიტყვა „კოლეგა“.

– ბენდუქიძემ, რომელსაც ექსპერიმენტი თავგებზე უნდა ჩაეტარებინა, ადგა და ხალხზე ჩაატარა, ჩვენს საზოგადოებაზე. მაგ ადამიანის ამბავი იმ კონტექსტშია, რომ ვერ გაიგებ, მაგალითად... “ლენინი ცოცხალია თუ მკვდარია, ლენინი მოკვდა მაგრამ მისი იდეები მარად ცოცხალიაო”. ფორმალურად ბენდუქიძე არ არის მთავრობაში, არ არის სახელმწიფო მოხელე, მაგრამ მან შეძლო თავის თანამოაზრეთა ფართო ქსელის შექმნა. ეს ქსელი არსებობს, ეს ქსელი მოქმედებს... როგორ გითხრათ, საერთოდ

გაუნათლებლობის ვირუსი გადამდებია და ამიტომ როდესაც ეკონომიკის სამინისტროში... მე არ ვიძახი მინისტრზე, ჯანდაბას მისი თავი, არც ერთი დეპარტამენტის უფროსი არ არის საბაზო ეკონომიკური განათლებით, რაზე ვილაპარაკო? მას, ვისაც არა აქვს ელემენტარული ეკონომიკური განათლება, უვიცის მიერ ნათქვამი უფრო ესმის, ვიდრე ის, რასაც ხუთი წელიწადი სწავლა და სერიოზული წიგნების წაკითხვა სჭირდება. ამიტომ შეიქმნა ბენდუკების არმია, რომლის წევრებსაც არ გააჩნიათ სახელი და გვარი... ესენი არიან პატარა ბენდუკები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო კანცელარიაში, სხვადასხვა სამინისტროებში, არიან მინისტრის მოადგილეები, ვიცე-პრემიერების თანაშემწეები, პრემიერის თანაშემწეები, დეპარტამენტების უფროსები. აი, ამ უვიცობის ვირუსითაა დაავადებული ჩვენი საზოგადოება და პირველ რიგში ჩვენი მთავრობა.

– თქვენ ამბობთ, რომ დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბენდუკები მართავენ?

– ბენდუკები ყველგან არიან... რა, პრემიერ-მინისტრის აპარატში არ არიან? სხვათა შორის, იქ “მამალი” ბენდუკები მუშაობენ!

– ლაშა ჟვანიაც პატარა ბენდუკაა?

– ლაშა ჟვანია “პოლიტიკური ჯამბაზის” შთაბეჭდილებას სტოვებს... ის ილუზიას ქმნის, ვითომ იბრძვის, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანაში შეიცვალოს, მას სათანადო ცოდნა არა აქვს და შედეგიც ნულია, შედეგი არა აქვს. ამ ცოტა ხნის წინ გახმაურდა მისი დაპირისპირება პრემიერ-მინისტრთან... მე მგონი, ეს დადგმული სპექტაკლი იყო. ჟვანია უფრო “პოლიტიკური ჯამბაზის” როლში გამოდის – შეიძლება ასეთი არც არის, არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ გარედან ასე ჩანს. გამოდის ტელევიზიით, იძლევა ინტერვიუებს, ვითომ უპირისპირდება პრემიერ-მინისტრს, ვითომ ებრძვის ბენდუკებს და ამ დროს სამინისტრო გავსებული აქვს ბენდუკებით.

– იქნებ ლაშა ჟვანიამ არ იცის, რომ იქ ბენდუკები არიან?

– ძალიან კარგად იცის... ამიტომაც ვთქვი, “პოლიტიკური ჯამბაზია”-მეთქი. გავიხსენოთ, სამინისტროში მისვლისთანავე ორი “მამალი” ბენდუკა მოხსნა, ისინი იყვნენ მოადგილეები. შემდეგ ეს ორივე “მამალი” ბენდუკა პრემიერ მინისტრის მთავარი მრჩეველები გახდნენ, და დღეს სწორედ მათ მიჰყავთ ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანაში. რა, ჟვანიამ თვითონ არ იცის, რომ თავის სამინისტროში ეკონომიკური განათლების მქონე კადრების

ნაკლებობაა? ის ენა, რომელიც დაამკვიდრა ბენდუქიძემ, ამ ხალხისთვის გასაგები ენაა, მათ წიგნის წაკითხვა არ სჭირდებათ, შეუძლიათ, ინტერნეტში ერთი-ორი რაღაცა ამოიკითხონ და საკმარისია!

- ისე, თქვენი მეგობარი ლადო გურგენიძეც გამომჩნდება ხოლმე მთავრობის სხდომაზე, ეგ რიდას მაქნისია?

- ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ გურგენიძე მხოლოდ ჩემი სეხნი... ეგ ჩემი მეგობარი ან თანამოაზრე რომ ყოფილიყო, ალბათ ქვეყნისთვის უკეთესი იქნებოდა. მას მომავალში სერიოზულად მოსთხოვენ პასუხს ორი დიდი შეცდომისა თუ დანაშაულისთვის – ეროვნული ბანკის დანგრევისთვის და ქვეყნისათვის 500-მილიონიანი საგარეო ვალის წამოკიდებისთვის.

- სად წავიდა ეგ ნახევარი მილიარდი დოლარი?

- ოოო... არ ვიცი, არც მთავრობა აკეთებს ოფიციალურ განცხადებას და არც ერთი დეპუტატი პარლამენტში არ სვამს შეკითხვას, როცა ბიუჯეტის საკითხი იხილება. ეგ ფული 2013-ში დასაბრუნებელია... ჩვენი ფასიანი ქაღალდები ევროპის ბაზარზე 2008 წელს გაიყიდა და ავიღეთ 500 მილიონი დოლარი სესხი, 2013 წელს ეს ფასიანი ქაღალდები უნდა დავიბრუნოთ და ვალი მთლიანად გადავიხადოთ, თანაც 7,5 პროცენტით.

- ეს სპეციალურად ხომ არ გააკეთეს? მიზა 2013-ში წავა და ვინც დარჩება, თავში ქვა იმან უნდა იხალოს, არა?

- კარგი შეკითხვაა, ძალიან საინტერესო კონსტრუქცია გამოდის, 2013 წელს რომც არ იყოს არანაირი საპრეზიდენტო არჩევნები, ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს ბიუჯეტში მოიძებნოს ნახევარი მილიარდი დოლარი საგარეო ვალის სრული დაფარვისთვის. თუ არჩევნები იქნა ხომ მით უფრო ძნელი მოსაძიებელი იქნება.

- აბა, რა უნდა ვქნათ, მთელი ქვეყნის „დალომბარდება“ მოგვიწევს?

- ამ ვალის გასტუმრება მოხდება შემდეგი მექანიზმით, გამოვუშვებთ ახალ ევროობლიგაციებს, ვისესხებთ 600 მილიონს, რათა გადავიხადოთ 500 მილიონი. აი, ასე ჩავგვითრიეს ფინანსურ პირამიდაში, რომელსაც ამ ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა გურგენიძემ. შემდეგ 700 მილიონს ავიღებთ, რათა 600 მილიონი გავისტუმროთ და ავიწყობთ ცხოვრებას.

- ამას გურგენიძე სააკაშვილის გარეშე ვერ გააკეთებდა, ფული მიზას სჭირდებოდა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? სანამ გურგენიძე პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, ასეთი რამ თავში არავის მოსვლია, ეს არც სააკაშვილს უთქვამს და არც ნოღაიდელს.

– ბატონო ლადო, იცით, რა მიკვირს? ახლა რასაც მეუბნებით, ამ ყველაფერს ოპოზიცია რატომ არ იყენებს?

– მოდით, ოპოზიცია ცოტა დავინდოთ... დღეს ისედაც მწარედ გავაკრიტიკეთ! სწორედ ამიტომ ვიძახი, რომ მეტი გამომგონებლობაა საჭირო, როდესაც ვამბობ, ქვეყანაში უვიცობის პანდემიაა-მეთქი გავრცელებული, ეს მხოლოდ ხელისუფლებას არ ეხება, ოპოზიციაში არიან გონიერი ადამიანები, მაგრამ ვიმეორებ, მათ „სტოსი“ არ მიჰყავთ. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასეა... ასე, რომ ჩვენთვის ღორის გრიპის ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლასთან შედარებით პრიორიტეტული უვიცობის ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს!

ბელა ზედელაშვილი